



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 71

28 დეკემბერი 2020 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N10 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომისათვის ადგილების გამოყოფის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N10 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომისათვის ადგილების გამოყოფის შესახებ“.

1. განკარგულების პირველ მუხლს დაემატოს პუნქტი 22¹ შემდეგი რედაქციით:
„ალადაშვილის ქუჩაზე, ყამბარაშვილის კლინიკის შესასვლელთან 22,5 მეტრიან მონაკვეთზე, ხოლო ყოფილი რაიონული საავადმყოფოს ჩრდილოეთით 25 მეტრიანი მონაკვეთი, სავალი ნაწილის პარალელურად“.

მუხლი 2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე